

1936

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# მშენებელი

## № 8-9



1

9

3

6

6



# „თებთმგრილი“

**№ 8-9**  
**აპრისტომ-საქტემგერი**  
**1936 წ.**

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საბ. განსახორ-  
მის მართობიური ორგანო

წელიწადი 89-10

საბ. კ. კ. (ბ) ც. კ.-ის ბაგ. „კომუნისტობა“  
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34,  
ტელ. №-3-02-61

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ლავრ. ჭიჭინაძე, — სამუდამოდ დასამარდნენ . . . . .	89-1
2. ნოე დაფნარელი, — სწავლას ვიწყებთ (ღეჭსი) . . . . .	2
3. კლავდიო დევდარიანი, — პატარა პარაშუტისტი (მოთბ.) . . . . .	3
4. არტემ ახნაზაროვი, — ლიონა (მოთბ.) . . . . .	6
5. ა. კაშმაძე, — მდინარეში (ღეჭსი) . . . . .	7
6. სიმონ ქვარციანი, — თუნთია (მოთბ.) . . . . .	8
7. ივანე მაკვარციანი, — ირმა და ქუცნა (მოთბ.) . . . . .	10
8. თამარ ოქროშიძე, — ბოტანიკურ ბაღში (მოთბ.) . . . . .	12
9. ნინო ნაკაშიძე, — რატომ არის მერცხალი კედმაკრატელა, ხოკო უენო და რატომ ემალება გველი კაცს . . . . .	14
10. შალვა თაბუკაშვილი, — ელისოს შეცდომა (მოთბ.) . . . . .	16
11. სიმონ წეველი, — რწყილი და ჭიანჭველა (პოემა) . . . . .	18
12. ნ. გოგუაძე, — უღაბნოში (ნარკვევი) . . . . .	20
13. სანდრო ჟღენტა, — სამისა ფრიადოსანი უძოში (ნარკვევი) გარეკ. III გვ.	

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი

14. ალ. საჩინოელი, — რა მხეცია (გამოცანა) გარეკანის . . . . .	IV გვ.
15. 130 თითი . . . . .	IV გვ.

ქურნალი გაფორმებულია მხატ. ი. ქოქიაშვილის, გვეტაძისა და  
დ. ნაცვლიშვილის მიერ.

## შეცდომის განწორკება

ამავე ნომრის პირველ გვერდზე პირველ სვეტში ქვევლდან მე-14 სტრიქონში სწერია: „და, რე-  
ბავში მამას შეახტა მუხლებზე. იგი ზინის ბურთივით“... უნდა იყოს: და, ბავში მამას შეახტა მუხ-  
ლებზე. იგი რეზინის ბურთივით“...

პ/მგ. რედაქტორი: ბაბო ბაზიანიშვილი      პ/მგ. მდივანი: ლ. ბიზინაძე





გესტაფოს<sup>1)</sup> აგენტს, საბჭოთა კავშირის მტერს, ბერმან იურიანს ეუბნება:

— სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში არ შეიძლება მოერიდო უკიდურეს ზომებს და სტალინი უნდა მოისპოს ფიზიკურად... თავდასხმა უნდა მოვაწყოთ კომინტერნის რომელიმე პლენუმის ან კონგრესის დროს, რომ სტალინის მოკვლა უნდა მოხდეს საქვეყნოდ.

ამ ქვეწარმავალთა აგენტი კომინტერნის კონგრესზეც შეიპარა, მაგრამ მისმა აკანკალებულმა საზოგადოებამ ხელში, მოფლეთ პაროლტარიატის ბელადს სროლა ვეღარ გაუბედა.

ყოველ ნაბიჯზე დასდევდნენ ჩვენს საყვარელ ბელადებს...

\* \*

სერგეი მირონის-ძე კიროვის სისხლით შეღებილი უტიფარო ძაღლებო! რომ მოგეკლათ სტალინი, ვოროშილოვი და ჩვენი საყვარელი ბელადები, თქვენ დაგწვავდათ იმისთანა ბავშვების მღულარე ცრემლები, რუსთაველის პროსპექტზე რომ სტალინი წაშობახა, ჩვენი ქვეყნის იმ ბავშვების ცრემლები, რომლებიც ლენინისა და სტალინის შექმნილ თავისუფლების ქვეყანაში დაიბადნენ,

რომლებმაც არ იციან რა არის ჩვენი თქვენ ვეღარ გაუძლებდით ატეხულ მლიონიან მშრომელთა რისხვას, რომლებსაც მწავრელთა ბორკილები ლენინმა და სტალინმა მოხსნა, რომელთაც ბედნიერი ცხოვრება სტალინმა მოუტანათ.

საბჭოთა ქვეყანამ საჯაროდ მოახდინა, გ. ე. ზინოვიევის, ლ. ბ. კამენევის, გ. ე. ევდოკიმოვის, ი. პ. ბაკაევის, ს. ვ. მრაჩკოვსკის, ვ. ა. ტერ-ვაგანიანის, ი. ნ. სმირნოვის, ე. ა. დრეიცერის, ი. ი. რენგოლდის, რ. ვ. პიკელის, ე. ს. გოლცმანის, ფრიც დავიდის (ილია კრუგლიანსკი დავით ისრაელისძე), ვ. პ. ოლბერგის, ვ. ბ. ბერმან-იურიანის, მ. ი. ლუროის, ნ. ლ. ლუროის გასამართლება. მათი დახვრეტა მოითხოვა 170 მილიონმა ხალხმა.

ისინი, ვინც ფიქრობდნენ სტალინის მოკვლას, ჩვენი მზის ჩაქრობას, ჩვენი უდიდესი მშობლის მოსპობას, მშრომელთა სამართლიანმა რისხვამ ისინი მოსპო.

ისინი მშრომელთა რისხვამ სამუდამოდ დაასამარა ქვესკნელში, საიდანაც მათი წაბილწული სახელი ვეღარ ამოვა სოციალიზმისა და კომუნიზმის ქვეყანაში.

## სნაპკას ვინყებთ ნოე დაფნარელი

ჰა, აგვისტოც მიიწურა,  
ახლა ისე აღარ გვცხვოლა,  
ჩანს, ზაფხული—მზე თაკარა,  
გავგებარა ნელა-ნელა!  
სალამოთი ხის ტოტებში  
ცელქი სიო მიფუსფუსებს  
და შრიალი გააქეთ ოდნავ  
შეყვითლებულ დიდრონ ფურცლებს;  
რა ბარტყები დაუზრდიათ,  
უპ, ჭირიმე, ნაცნობ მაშვებს!  
ხილიც მოდის... ოპ, სულ მალე  
ლოყაწითელ ვაშლებს დაკვებთ!  
რა კარგია ჩვენი სკოლა,  
და რა კარგად მოუწყვიათ,  
ჩვენ მოვდრეივართ... სკოლის ზარიც

საამურად იწყებს წკრიალს,  
რა გაუძლებს ჩვენს ფრიაშულს,  
თავაწყვეტილ ტრიალ-ტკრიალს,  
სიცილ-კისკისს, ფივილ-ხივილს,  
აღტაცებას, თვალთა ციალს!  
ქუხს, გუგუნებს სკოლის ეზო,  
ბიჭო, სწავლას ვიწყებთ ისევ!  
კარგი არის თამაშობა,  
სიხარული, სიმისე  
და თან შრომა: სწავლა, სწავლა,  
სიბეჯითე, სიხალისე!  
სწავლას ვიწყებთ... რა კარგია  
ყოველ დღით კლასში მოსვლა!  
სიხარმაცე რას გვარგია,  
გადავიქცეთ ფრიადოსნად!

<sup>1)</sup> ფაშისტური გერმანიის საიდუმლო პოლიცია.

# პაჭარა პარაშუზისში

კლავდია დემდარიანი

ზაფხულის მსურველ მეზის სხივები უხვად ანათებდა მიდამოს. აკაციის მკიდრო ჩრდილში რამდენიმე პატარა, გულმოდგინედ აგებდა ნაქურჩილის ხუხულებს.

— კარგი, მზია, წამოდი, მსხალზე ავიდეთ. — ზურა ამ სიტყვებით წამოდგა და დონჯშემოყარილი დააჩერდა გოგონებს, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ ხუხულის შენებას.

— ალაც მე მინდა, მომბეზრდა, — განაცხადა ლოყაწითელა შეათვალა ხათუნამ.

— მოიცათ, გაეცქეთ, ვინც მისწრებს, ის ავიდეს.

— მე შუაში ჩავდგები. ერთი, ორი, სამი! მოიცათ, ნუ გარბიხართ, ჯერ ხომ არ მოთქვამს გაგიგონია ასე! — ჯავრობს ხათუნა.

— მაშეველამ ერთად უნდა დავიწყოთ, — კვერი დაუკრა მზიამაც. კვლავ ჩამწკრივდნენ პატარებში. ძე დავითელი, მე ხომ უფროსი ვარ. — ერთი... ორი...სა...მი!

მირბის სამი პატარა, სამი რწყვილი პატარა ფეხი დაკიბული მისრიალებს მწვანე ბალახზე. მზია და ზურა თითქმის ერთად ეტაკნენ მსხლის მსხვილ ძირს.

— მე მოვასწარი!

— არა, მე!

— ორივენი ერთად მოხვედით! — ქშენით მოვარდა ბუთხუზა ხათუნა. თითქოს ამ სიტყვებით შეარიგა მოდავენი. ზურამ ბრაზით გადახედა დას და თავი დამარცხებულად მიინც არ ჩათვალა.

— აბა ვნახოთ, რომელი ავასწრებთ!

სამივენი სიცილ კისკისით მივიარდნენ ხეს. ერთმანეთს ეჯიკვებოდნენ, ძირს ეცემოდნენ და კვლავ მიცოცავდნენ. გაისმოდა ბავშთა უღარდელი კისკისი. ზურა, ხის ტოტზე ჩამოსკუპული, ამოცოცებულ დებს ფეხით ძირს აგდებდა. მსხლის უზარმაზარ ტოტზე ჩამომჯდარი ბავშვები ფეხებს უღარდელად იჭნევდნენ, პირი მწიფე ნაყოფით გამოეცხოთ.

— შეხეთ, როგორი კარგი მსხალია! სულ შეუქამია რალაცას, მარტო კანი დარჩენილი! —

ამ სიტყვებით მზიამ დაძმას აჩვენა მსხლის დარჩენილი კანი.

— აი შეხედე, მეც მაგისთანა შემხვდა, — უთხრა ზურამ.

— ჩემიც მაგისთანა, მერე როგორი ლოყა წითელაა! დედასთვის მინდოდა წამელო... — გულდაწყვეტილი ხათუნა დააჩერდა მსხლის მომხიბლავ ქერქს.

— ნეტა რა კამს?

— აღბად ჩიტები.

— შენც ერთი! ჩიტი როგორ შეკამს? — შეუტია ძმას მზიამ.

— ჩიტი ხომ კამს ბალს?



— ბალი პატარაა, ამოდენა მსხალს ჩიტი როგორ შეკამს?

— კულის კოლოფო, მსხალი ჩიტზე მეტია, ჩიტი როგორ მოერევა?!

— აღბათ ზღარბი კამს, დედამ რომ წიგნი წაგვეკითხა, იქ ხომ ზღარბი კამდა მსხალს! დსცინა ძმას პატარა ხათუნამაც.

— შენა ხარ კულის კოლოფი! ზღარბი ხეზე როგორ ავა?

ხათუნას არ იამა ასეთი მარცხი.

— დედას ვითხოვთ.

სამივენი შეეკვიდნენ ვახით დაბურულ აივანზე. ტახტზე მჯდომ დედას გარს შემოეხვიენ.

— დედა, შეხედე, შეხედე, როგორ შეუქამია რალაცას ჩვენი მსხალი!

ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ პატარები.

— მოიცათ, მოიცათ, რა დაგემართათ, აბა რათ ჩავიყრიათ კალთაში მსხალი?

— დედა, ეს მსხალი კი არ არის, მარტო ქერქებია: რალაცას შეუქამია.

— ნახე, ნახე, დედა.

დედამ ხელში აიღო გამობრული ქერქები და გულბოდვინედ დაათვალიერა.

— ეს კი ამზობს ზღარბი შექამდაო!

— დედა, ზურა ამზობს ჩიტი შექამდაო.

— არა, შეილო, ეს არც ჩიტის ნაქამია და არც ზღარბის, ეს ციყვის ოინია, ჩანს, მსხლის შესხვევია და მიირთმევს.

— რა არის, დედა, ციყვი?

— როგორია?

— ციყვი თავის მონათესავე ცხოველია, მხოლოდ გაცილებით უფრო დიდი და ლამაზი, მთელი ტანი გრძელი და ლამაზი ბეწვით აქვს დაფარული, განსაკუთრებით ლამაზი აქვს გრძელი, ზევით აპრეხილი, ბეწვით შემკული კუდი, ხეზე მარდად დახტის, ხილით იკვებება, თხილი ძალზე უყვარს, მაგრამ, როგორც ხედავთ, არც მსხალზე ამზობს უარს.

— უნდა დავიჭიროთ, თორემ ასე სულ შექამს მსხალს.

— დავიჭიროთ, დავიჭიროთ! — ახმაურდნენ პატარები.

— ვერ დაიჭერთ, შეილო, მეტად მარდი ცხოველია: ხის კენწეროდან თავისუფლად ეშვება ძირს, მისი კული ნამდვილი პარაშუტია. თავისი პარაშუტის საშუალებით ციყვი უწებლად ეცემა დედაშიწაზე.

— ერიპა! პარაშუტიც ჰქონია— გაიხარეს ბავშვებმა და ესლა გადაჭრით გადაწყვიტეს დავიჭიროთ პატარა პარაშუტისტი.

\* \*

მიდიოდა დღეები, ელეოდა ზურას მოთმინება. მოსწყინდა მუდმივი ყარაულობა, პატარა ონავარი ციყვი თავისი პარაშუტით კი არსად ჩანდა. შექმული მსხლები თანდათან მრავლდებოდა.

— მოდი თქ, ბავშვებო, ეს ლობიო გამარჩევიანთ, თორემ სადილი გვიანდება.

დედამ ამ სიტყვებით აკაცის ჩრდილში მოიკალათა, გვერდში მწვანე ლობიით სავსე კალათი მოიდგა. ბავშვებიც გარს შემოაუსხდნენ.

— რა ჰქენი, ზურა, ვერ დაიჭირე ციყვი?

— ტყვილა დაიტრამბა, — წაიბუზღუნეს ზურას ღებმა.

— ალბათ სხვა რამე ჰქამს, დედი, ერთხელაც ვერ ენახე, — გაიმართლა თავი ზურამ.

— არა, შეილო, უთუოდ ციყვია, მართლა, წადი და ერთი კალთა წაილე, კარგი მწიფე მსხლები შოარჩიე, დღეს არ მიქამია.

გოგონები ლობიოს გარჩევაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, გამალებით მუშაობდნენ.

— მიშველე, დედი, მიშველე! — მოისმა ზურას ყვირილი. გულგახეთქილი დედა წამოვარდა და დეშვა ეზოს ბოლოში მდგარ მსხლისაკენ, საიდანაც ზურას თავგამეტებული აღრიალი ისმოდა. დედას მისდევდნენ დამფრთხალი გოგონები. სახლიდან გამოიფინენ ბიძები, ბიძოლები, მოზრდილი შიძეშვილები. ყველანი მსხლის ძირში შეეგუფუნდნენ. ენახაყრდნილი დედა ხმას ვერ იღებდა. მამამ რომ ზურა უფნებელი, ხეზე წამოსკუპული დაინახა, გაბრაზებით შესძახა:

— რა გალრიალებს ბიჭო?

— შეხედეთ, შეხედეთ! — ძლივს იმეორებდა შინით დამფრთხალი ზურა, თან ხის კენწეროსაკენ უთითებდა. ხის კენწეროზე ციყვი წამოსკუპულიყო, ბეწვიანი კული ზევით აეშვირა, დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა.

— შენ კი რა ვითხრა, შეილო, გული გამოხეთქე! — უსაყვედურა დედა.

— ჩამოდი ჩქარა ძირს, ნუ ღრიალებ. ციყვმა შევაშინა? დამხედეთ ვაჟკაცს! — შეუტია მამამ.

— ეს არის ციყვი? — დარცხვენით წაიბუტბუტა ზურამ და ალმაცერად ვადახედა პატარა ცხოველს, რომელმაც გული გაუხეთქა.

— დავიჭერო, რომ იჩარჩებოდი, ხომ ავალრიალა! — ნიშნოგებით მიმართა ჩამოსულ ზურას ხათუნამ.







# კოიმონა



არბიშ ახანჯაროვი.

(დასასრული<sup>1</sup>)

1921 წლის თებერვლის უკანასკნელი დღეები დადგა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ცხოვრება შეიცვალა და გამოკოცხლდა. ორიოდ წლის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებამ მარჯვედ მიჰყო ხელი გაოხრებული და დაქცეული ქვეყნის აღდგენისა და აშენების საქმეს და ყველა, ვისაც-კი შრომის უნარი და ხალისი შესწევდა, ფეხზე დააყენა. ხალხის ცხოვრების მაჯის ცემა გამოსწორდა, გლეხმა და მუშამ ხელი ხელს ჩასქიდეს და საერთო ძალიანით ქვეყანა საკეთილდღეოდ ამოძრავდა. გაისმა ქარხნებისა და ფაბრიკების გუგუნე, ცხოვრება, დულდა და გაღმოდლიოდა.

გაზაფხულის ერთ ბურუსიან დღეს სეიდაბათის იმ ქუჩაზე, სადაც საბედა ცხოვრობდა, ორი ახალგაზრდა ქალი ეზო-ეზო დადიოდა და რაღაც ცნობებსა ჰკრეფდა. ეს ორი ქალი ლიონანას ეზოსაც ეწვია. დაიბარეს სახლის სამეული და დაწვრილებით გამოჰკითხეს, ვინ იყო ამ სახლის მობინადრეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მკოდნე. ასეთ პირთა სიაში მოჰყენენ უკვე ორმოც წელს გადაცილებული საბედა და ლიონანა. არ გაუტლია კვირა ნახევარს, რომ დედა-შვილს უწყება მოუვიდათ და სადღაც იბარებდნენ.

### III

საბჭოთა საქართველოს ხუთმეტე წელიწადი შეუტარებულა. ზამთარს, რომელმაც ძალიან ოკლად გაიარა, უკანასკნელი დღეები ეთვლებოდა. თებერვლის რიცხვებში ქალაქის მკობოვრება შორის სურდო-ხველისა და ციებ-ციხლების გადამდებმა სენმა იფეთქა. ოჯახი არ იყო, რომ ორი-სამი ავადმყოფი არა წოლილი-

ყო. სამკურნალო დაწესებულებანი ფეხზე იყო დაყენებული და აფთიაქების წინ, რომლებიც დღე-ღამე მუშაობდნენ, შემკვეთთა დიდი ჯერი იდგა. ჩემი ოჯახის ერთი წევრიც ავად გახდა იმავე მოარული სენით, რომელიც ბუთიოდე დღეში გაუვლიდა ხოლმე ავადმყოფს, მაგრამ ზოგჯერ ვართულებოდა და საშიში იყო. ამის გამო იძულებული ვიყავი ამბულატორიისათვის მიმემართა. აქაც იმავე სურათს წააფყდი, რაც აფთიაქებთან ვნახე: დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და ყველანი ექიმსა თხოულობდნენ. მორიგი ქალი ყოველ მათგანს ვინაობასა და მისამართს ჰკითხავდა და თავის დავთარში იწერდა. ჩემი მისამართიც ჩაიწერა და ექიმის გამოგზავნას დამაირდა.

გაიარა ბუთიოდე საათმა, და კარები ვილაცამ დამიკაქუნა. სახლში შემოვიდა ლამაზად ჩაცმული შუახნის კაცი, რომელმაც ჩემი გვარი დასახელა და იკითხა:

— თქვენა გყავთ ავადმყოფი?

მივხედი, რომ ექიმი იქნებოდა, და ავადმყოფთან შევიყვანიე. ექიმმა დიდის გულმოდგინებით ვაისინჯა ავადმყოფი, მაჯასა და გულმკერდს მოუსმინა, გამოჰკითხა ავადმყოფს სიცხის როდენობის შესახებ, შემდეგ გამოვიდა მეორე ოთახში, ხელეები დაიბანა და საწერკალამი მოითხოვა წამლის გამოსაწერად. ვიდრე ის რეცეპტსა წერდა, იმის პირდაპირ მაგიდასთან ვიჯექი და ვათვალისწინებდი. საკვირვლად მეჩვენა, რომ იმისმა სანდრომინამა და მიწვიდეგლმა სახემ ჩემს ყურადღებას კავი გამოსდო და მთლად შეიპყრო. ამ კაცის გულლია და გადაშლილმა სახემ თითქმის შემომაციანა, და ჩემს თავს შევეკითხე: ნეტა ვინ უნდა იყოს, სად მინახავს ეს სახე, რომ ასე მეცნობა მეთქი? ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ექიმმა გაათავა რეცეპტის წერა,

<sup>1</sup>) დასაწ. იხ. ჟურ. „ოქტ.“ № 7.



განდომოცა იგი და აღერსანნი ხმით ავადმყოფის შესახებ მკირეოდენი დარიგებაც მომცა. უნებურად დაეხედე ექიმის გეარს და ამოვიკითხე: „მაისაშვილი“. ვაეთამამდი და ასეთი სიტყვით მიემართე:

— მაპატიეთ, ექიმო, კანდიერება, და ნება მომეცით გკითხოთ: სადაური ბრძანდებით და რა გქვიათ?

ლიმილით მიასუხა:

— სადაური უნდა ვიყო, აქაური გახლავართ და სიმონი მქვია. — ლიმონა! — წამოვიძახე ჩემდა უნებურად და მევე შემეშინდა, ეს სიტყვა როგორ წამომცდა მეთქი.

იმის სახეზე ლიმილი უფრო ფართოდ გაიშალა და თავახიანად მიასუხა:

„სწორედ ლიმონას მესახოდნენ... იცნობდით, განა, ლიმონას? — ევლავ ბოდიში, ექიმო, შემინდეთ, ნუთუ თქვენ ისა ბრძანდებით, ლიმონასა და ფორთახას რომ ჰყილდა?“

— სწორედ ის გახლავართ.

— მაპატიეთ, მერე როგორ, რა გზით?!

ევლავ დასაჯდომად მივიწვიე და ჩემი სკამი ახლო მივიღდი, მიასუხა.

— სამწუხაროდ, ახლა ავადმყოფებთან მივქეჩარები, მაგრამ მოკლედ მაინც მოვუწესტებო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკეიდაცო კომისიაში დამიბარეს და დამავალეს წერა-კითხვის შესწავლა. შე, რაღა თქმა უნდა, მხურვალედ დავეწაფე სწავლას და ჭარხანაში მუშაობას, შემდეგ მუშტაკში ხუთ წელიწადს ვსწავლობდი, ბოლოს უნივერსიტეტში დავამთავრე და ორ წელიწადსაც მოსკოვში დავყავი ექიმობის უფრო კარგად შესასწავლად.

დიდი აღტაცებით ჩამოვართვი ხელი და ევლავ შემეკითხე:

— დედათქვენი ცოცხალი ბრძანდება?

სიამოვნებით მიასუხა:

— თუ დედაჩემსაც იცნობდით, მოგახსენებთ, რომ დედაჩემი ცოცხალი და სრულიად ჯანმრთელია, ჩემთანა ცხოვრობს და თავისუფლი-შვილებს უელის. ახალმა ცხოვრებამ ბევრი ჩემისთანა ბედშავი წამოაყენა ფეხზე.

ამ სიტყვებით ექიმმა მეგობრულად ჩამომართვა ხელი და სხვა ავადმყოფებისაყენ გაეჭარა.

## მდინარეში



### ა ვ თ . ქ ა შ მ ა ძ ე

— ჩემო ზურა, როგორ დაცხა, ბულიც დადგა შარაგებებში! რა გაყენებს სახლში ახლა, ვიბანაოთ მდინარეში!

ვიკუყუმალოთ, შემდეგ ქვიშის ცხელ გროვაში ჩავიმალოთ, ცივ ტალღებში გავეხვიოთ, ვიკურაოთ, გავიხაროთ.

თქვა ეს კოკიმ და უმაღლვე გაეშურნენ ორივე მარდად,

და წისქვილის ახლოს, იქვე, ცურაობა გაიმართა.

ჰა, ბავშვებიც მოკუნცულდნენ — ნელი, თამრო, ლილი, სარა, ვახტომ ტალღებს შეუტია და ბავშვებიც ააჩქარა.

მიცურავენ, ხარხარებენ, მათ იხვებიც შეუერთდა და ისინიც ლამაზ ფრთებით ტალღებს ჭრიან მათთან ერთად.

# თუნთია

ს ი მ ო ს მ ა რ ი ა ნ ი

— თუნთია დათვის სახელია, ბავშვებო! თუნთი მეგრულად დათვის ნიშნავს, — დაიწყო გიგომ. — ერთ ღღეს მწყემსის ბიჭებმა ნახეს ტყეში, მთიან სამეგრელოში დათვის პაწაწა ბელი და შინ მიიყვანეს.

— აი, ღვდა, რა ვნახეთ ტყეში! დათვის ბელი! რა პატარაა! რა საცოდავად ღმუროდა! სულ პირს აცმაკუნებს, ალბათ შია საცოდავს! იქნებ ღვდაც მოუკლეს მონადირეებმა! — მიაძახეს დიასახლისის ვაჟებმა ეზოში შესვლისთანავე და კალთაში ჩაუგორეს რუხი ბელი.

— ვაჭამოთ რამე, დედიკო, — ამსიტყვებით უფროსი ვაჟი შევარდა საჯალაბოში და ჯამით გამოარბენია თბილი რძე. სულ უმცროსმა კი სტაცა ხელი დათუნუკას და ჯამში ჩააყოფინა ტუჩი ამ სიტყვებით:

— მიირთვი რძე, ჩემო დათუნია!

თუნთიას ვმწავა ცხვირში შესული რძე, გაუსხლტა ხელიდან, გაგორდა მიწაზე და ფრუტუნო იწყო.

— აი თქვე გლახებო! განა აგრე უნდა ქმევა! — მიაძახა ღვდამ, აიყვანა ბელი, მოსწმინდა ტუჩი და მიუაღერსა. შემდეგ დათუნია ჩააწო ენა რძეში და რაკი იგემა, ჯერ გაუბედავად დაუწყო ხერება, მერე კი დაეწაფა და იწყო ხარბად სვლემა, რითაც აღტაცებაში მოიყვანა მწყემსი ბიჭები. ბოლოს, როცა კარგად გამოძლა, იქვე გაგორდა მწვანე მოლზე და სიამოვნების ნიშნად იწყო ღმუილი და ღრიალი.

თუნთია მალე მოშინაურდა და გაუტკბა ცხოვრება. ყველა მას ეფერებოდა პირში სტენიდა, საქმელს. კბილებიც მალე ამოუვიდა. სიამოვნებით ჭამდა მკადს, ლომს, მოხარულ სიბინდს, ხორცს, თუ კი მისცემდნენ. მეტადრე კი ხილი უყ-

ვარდა რადგან ოჯახის მამა და მისი სამი ვაჟი, 12-15 წლის ბიჭები, უმთავრესად ტყესა და მინდორში იყვნენ, თხებს და ძროხებს, მწყემსავდნენ, ამიტომ თუნთიაზე ზრუნვა ოჯახის დიასახლისმა სულ იკისრა. თუნთია მალე შეეჩვია მას და ყველაფერს უჯერებდა.

— თუნთია, წადი, შემა მოიტანე, — ეტყოდა დიასახლისი. თუნთიაც საჯალაბოდან გარბოდა ეზოში, მიირბენდა ხორად დაღებულ შემასთან, აიმართებოდა უკანა ფეხებზე, წინა თათებით აიღებდა შემას, რამდენსაც მოერეოდა, დაიღებდა მხარზე და მიუტანდა თავის ღვდობილს, თანაც მიუაღერსებდა და ჩაუღებდა თავს კალთაში, რითაც ანიშნებდა მომეფერეო. სეუ დაუსვამდა თავზე ხელს ამ სიტყვებით: „ჩქიმი ჯგირი თუნთია“ (ე. ი. ჩემო კარგო თუნთია), თანაც აქმევდა რამეს. შემდეგ თუნთია ჩაჯდებოდა იქვე შუა ცეცხლთან და ითბობდა. მას მეტად უყვარდა ცეცხლის სითბო, თვით ცეცხლისა კი ეშინოდა.

თუნთია მარტომარტო დათამაშობდა ფართო ეზოში. ხშირად აფორთხდებოდა ხეზე, უმთავრესად მსხალზე, დაარხვედა ტოტებს და ჩამოყრიდა ნაყოფს, შემდეგ კი ჩამოფორთხდებოდა და სიამოვნებით შეექცეოდა. თუ, ვინცობაა, სეუ მოჰკრავდა ყურს ხის დარხვევას, გამოვიდოდა საჯალაბოდან და მიაძახებდა: „მუსორთუქ ნანა თუნთია! მუსორთუქ“ (ე. ი. რას შვრები, შვილო თუნთია, რას შვრები) ამის გამგონე თუნთია მაშინვე დაეშვებოდა დარცხვენილი და დაიძალეობდა.

თუნთია მალე შეიქნა სოფლის ნებიერი. ვინ არ იცნობდა მას, ვინ არ ეფერებოდა, ვინ არ აწოდებდა ნაირ-ნაირ საქმელს! შინაური და მეზობლის ძალ-

ლები მას არ ერჩოდნენ, პირიქით უფრო-  
თხოვდნენ და ერიდებოდნენ. იგი მალე  
შეიქნა მესოფლია: დაჰყვებოდა მეზობ-  
ლებში თავის ღედობილს ერთგულ გუ-  
შაგვიით და თუ სეუ არ წაიყვანდა, გადახ-  
ტებოდა ღობეზე და უკან გამოუდგებოდა.

თუნთიას უდიდესი ბედნეგრება იყო  
ქორწილში და მეტადრე ტირილში წას-  
ვლა, რადგან ორივე შემთხვევაში ბლო-  
მად აჰმევედნენ. მოკვდებოდა თუ არა  
ვინმე მეზობლად და შეიქნებოდა წივილ-  
კივილი, ყველაზე ადრე გაიგებდა ყურ-  
მახვილი თუნთია. იგი მაშინვე შედგე-  
ბოდა უკანა თათებზე წაიშენდა თავში,  
როგორც ადამიანი, და მოჰყვებოდა ღრი-  
ალს. ასე ღრიალით მიადგებოდა საჯა-  
ლაბოს.

თუნთიას ღრიალზე გამოვარდებოდა  
სეუ და მართლაც გაიგონებდა შორეულ  
ტირილს. ახლო მეზობლებიდან გაიგებ-  
და ვინ იყო მიცვალებული, მოემზადე-  
ბოდა წასასვლელად და გასწევდა, მაგ-  
რამ აბა ვინ დაამაგრებდა თუნთიას! იგი  
მაშინვე გადახტებოდა ღობეზე და უკან  
გამოუდგებოდა. აი, შევიდა სეუ მიცვა-  
ლებულის ეზოში! იწყო ხმამალალი ტი-  
რილი და თავში ცემა. მას მისდევდა კა-  
ცივით ამართული თუნთია ღრიალით და  
თავში ცემით. ეს უცნაური სურათი სი-  
ცილსა და ხარხარს იწვევდა არა მარტო  
მოზრდილებში, არამედ დიდებუიაც კი.

ბავშვებს ძალიან უყვარდათ თუნთიას-  
თან თამაში და ჭიდაობა. თუნთია დად-  
გებოდა უკანა ფეხებზე და საჭიდაოდ  
გამოიწვევდა ბიჭებს. დიდ სიამოვნებას  
ჰგვირდა მათი დაცემა, თუნთია არც უც-  
ხა სტუმრებს ერჩოდა. ხოლო თუ რო-  
მელიმე მათგანი არ მოეწონებოდა, აფორ-  
თხდებოდა ხეზე და დაუშენდა ტოტებს.  
მაგრამ შესძახებდა თუ არა მისი გამზრ-  
დელი სეუ:

„მუსორთუქ, ნანა თუნთია, მუსორ-  
თუქ“ — დარცხენილი დათვი დაეშვებო-  
და ძირს და დაიმაღლებოდა.

ახლა რა ვაცინოთ, ბავშვებო! რთვე-  
ლი იყო, ოჯახის მამამ და მისმა ვაყებმა  
დაკრიფეს თხმელისა და ხურმის ხეებზე  
აშვებული მწიფე იზამბელა (ადესა ყურ-

ძენი), გაავსეს საწნახელი, დაწნიხეს ყურ-  
ძენი ფეხით და ფიცრებით დახურეს, და  
საღულეებლად. ორი დღის შემდეგ ყურ-  
ძენის ტბილმა იწყო დუღილი და დამაჰ-  
რება. მაქრის საამო სუნი ეცა თუნთიას  
ვანთიადისას შეიპარა იგი მარანში, გა-  
დახადა თავი საწნახელს, ჩავიდა შიგ და  
ხარბად დაეწაფა ფუცხუნა მაქარს, ბლო-  
მად მიირთვა, გაიბერა და დათვრა. გად-  
მოფორთხდა საწნახელიდან, გამოვიდა  
გარეთ, უზომო კმაყოფილების ნიშნად  
იწყო გორვა და ღმუილი. ხმაურზე გამო-  
ცვინდენ ოჯახის წევრები. ისინი ადვი-  
ლად მიხვდნენ, რაც მომხდარიყო. საშინ-  
ლად დატუქაის. (იქმა დუბირეს. მთვრა-



ლი თუნთია კი საჭიდაოდ იწვევდა მათ.  
ბოლოს ისე გათავხედდა, რომ თავის  
გამზრდელ სეუსთანაც დააპირა ჭიდაობა.  
ოჯახის უფროსი ვაჟი კი, რომელსაც  
ემდურდა, რადგან მან ერთხელ მუგუ-  
ხალი მიარტყა, ძირს დასცა და ლახ-  
თანად მიხვევა, შემდეგ აილა უშველე-  
ბელი როფი და ზევიდან დაახურა.

ამ დღიდან გადაწყდა თუნთიას ბედი.  
ამიერიდან ის უკვე საშიშარი ხდებოდა.  
მან ადრევე ჩაიდინა კიდევ სამი დიდი  
დანაშაული: ორჯერ დაიჭირა მეზობლის  
გოკები, გაგლიჯა და შექამა, მესამედ  
შეიპარა მეზობლის საქათმეში, წაგლიჯა  
თავი ათამდე ქათამს და ქათმები თა-  
ვის გამზრდელს მიართვა.

ოჯახის მამამ დაბურულ ტყეში წაიყ-  
ვანა თუნთია და გაუშვა, იმ დღიდან  
აღარავის უნახავს თუნთია, არავინ იცის,  
თუ რა შეემთხვა მას, ხოლო თუნთიას  
კულლუტობა და ოინები დღემდე კარ-  
ვად ახსოვს მთელ სოფელს.







## თამარ ოპროშიძე.

(დასასრული)

დიდი მუხა მშვიდად აშრილობდა ახლად ამოყრილ ნორჩ ფოთლებს და მღუმარედ დასცქეროდა მოკისკისე ბავშვებს.

— ჰეპელა! — წამოიძახა დალიმ დაღამაზ ყვითელ პეპელასაკენ გაეჭანა დასაქერად, სხვებიც მას დაედევნენ.

— რა ლამაზი პეპელაა, ასეთი ჯერ არც მინახავს! — იძახდნენ დორა და მზია პეპელა კი ფრთების ფარფატით ხან ერთ ყვავილს დააჯდებოდა, ხან მეორეს, ხან წრეს აკეთებდა და უკანვე აბრუნებდა მისი დაქერის სურვილით გატაცებულ ბავშვებს.

— დაანებეთ თავი, ვერ დაიქვრთ, — დაუძახა თავებრუდასხმულ ბავშვებს ნუნუმ.

— დავიქვრ, დეიდა ნუნუ, დავიქვრ! — დაიჩემა მედიკომ და ერთ ჩირგვზე დამჯდარ პეპელას მოულოდნელად თავს დაახტა. ჩირგვი სიმძიმისაგან შეირხა და გვერდზე გადაწვა. მედიკომ ჩხვლეტა იგრძნო ხელფეხში, მაგრამ მოკუმშულ მუცს მაინც არ ხსნიდა, — ხომ დავიქვრე! — იძახდა ის და წამოდგომას ცდილობდა. უხერხულ ყვირთელი პეპელა მედიკოს ცხვირწინ აუფრინდა, ფოთლებში გამძვრალიყო ქვევიდან. გაწბილებულმა მედიკომ წამოიწია ასადგომად, მაგრამ ველარ ადგა, ეს სადაგული ეკლები ჩხვლეტდა, თან კიდევ ბავშვების დაცინვა აბრაზებდა.

— დავიქვრო, რომ იძახდი, დაიქვრე, არა? ხა. ხა. ხა! — კისკისებდნენ ისინი. ვანომ ეკლებში გაჩხირული მედიკო ძლიერ-ძლივობით ამოათრია.

— ვაი, გველი! — იკივლა ქეთინომ და ერთ მეტრზე გადახტა უკან. ბუჩქის ძირიდან გველის წიწილა გამოძვრა, შემინე-

ბული აქეთ-იქეთ დასრიალებდა. ვერცხლისფრად ბზინავდა გველი მწვანე ბალახებში და დაკლაკნილ ნაკადულს წაავადა. დალიმ ქვას სტაცა ხელი და ესროლა. მაგრამ გველი სწრაფად მიიმალა მუხის ამოჩრილ ფესვებში.

— რა წერილი გველი იყო!  
— ქეთინოს ფეხებში გაუძვრა, კინალამ უკბინა! — ამბობდნენ ბავშვები.

— აბა, წავიდეთ, აი, აქ მოდით, ნახეთ, რამოდენა ნაძვია ჰიმალაიდან ჩამოტანილი, როგორი ჩამოხურული ტოტები აქვს! — დაუძახა დეიდა ნუნუმ ბავშვებს.

— უზარმაზარი ნაძვი ტოტებდაშვებული იდგა შემოლობილში. აქა-იქ შარშანდელი, ისევ მწვანე, ზოგან ყავისფერი გირჩები ესხა სანთლებივით, ჰიმალასის ეს მცენარე საზეიმო ნაძვის ხესავით იდგა ამ ვებერთელა ბაღში. ნაძვის ძირში ნამიანი ფოთლები ეყარა, მზის სხივები ვერ ატანდა მის ხშირ ტოტებში და დიდიხნის ნაწვიმარი მიწა ისევ სველი იყო.

— ეს რა ხეა? „აკაკი“ — წაიკითხეს ბავშვებმა ერთ ქორხორა ხეზე წარწერა.

— აღამიანის სახელი ჰქვია ხეს, — კისკისით მოუბრუნდა დალი მეგობრებს.

ნელი ნიავი ქროდა და იასამნის სურნელი მოჰქონდა. მარცხნით თუ მარჯვნივ ათასფრად აყვავებული ბალი ჩანდა სხვადასხვა ფერი ვარდით და თეთრი უცხო ყვავილებით მორთული. შუაში აუზიდან შადრევანი ცემდა და მალლიდან ჩამოფრქვეული შხეფები ბრილიანტებით ბრწყინავდა. ბავშვებმა აღარ იცოდნენ სად შეჩერებულიყვნენ, რისთვის ეცქირნათ.

<sup>1)</sup> დასაწყისი იხ. ფურნალ ოქტომბრის 26-28.



# ჩაგომ აჩის მუხსნალი კუდუაკრუვინ, ხოჭო უინო დუ ჩაგომ უმუდუბუ გუვინ კუსს?

ინო. ნუკუშიძე

თქვენ იცით, რომ მერსხალს კული მუკრუ-ტელივით ორად აქვს გუკუფილი. იცით ისიც, რომ ხოჭო უინოა, უხმო, მუგრამ არ გვეკოდი-ნებათ, თუ რუტომ არის ეს ასე. ისიც მარტო-ლია, რომ ამ ზლუბრის წუკითხვის შემდეგუკ ვერ გუიგებთ ნამდვილ ამბავს. მუგრამ ამ ზლუბ-რიდნ თქვენ გუიგებთ, თუ რას ფიქრობდუ მათზე ძალიან დიდი ხნის წინათ ძველი დროის ხალხი, როდესუკ გერ კიდევ წიგნების წერა არუინ იკოდა, დუ როგორ ისმენდნენ ამ ზლუ-პარს თქვენი წინუპრები, როდესუკ ისინიც თქვენ-სავით პუტარები იყვნენ.

მუშ ვიწყებ:

უძველეს დროს კაცი, გველი, ხოჭო დუ

მერსხალი ერთად ცხოვრობდნენ. კაცი ადგე-ბოდა დილუადრიან, გუდაიკიდებდუ შვილდისარს დუ წუვილოდა ტყეში სანადიროდ. შუადლისას ბრუნდებოდა დუ მოჭონდა ნანადირევი თუვის-თუის დუ გველისათუის, სოკო ხოჭოსთუის დუ კიუ-ლუა მერსხლისათუის.

დაღლილი ბრუნდებოდა კაცი: ადვილი ხომ არ იყო ფეხშიშველასთუის ღრეში ნადირის დევნა, მოვილოდა დუ დუაგდებდუ ძირს ირემს, ან ჯიხეს, ან კიდევ ვეგბუ დუთეს, დუ დუჯდე-ბოდა ან დუწობოდა ცეცხლის პირას.

—ჰო, შენ დუილუე, მუგობარო, დუისვენე, — ეტყოდა მას მერსხალი ალერსიანად, მე გიგუ-ლობ. რუ კეთილი დუ კუვიანი ხარ! როგორ





მიყვარხარ! სწორედ ამიტომ არის, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია და ყოველ ზაფხულს, სადაც უნდა ვიყო, რა თბილ და ლამაზ ქვეყანაში, მიიწევენ შენთან მოვფრინავ.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო ჭიკჭიკავ, მეც მიყვარხარ, — ეუბნებოდა კაცი, — აბა დავტყებ შენი გალობით.

გველი და ხოჯო გაატყავებდნენ ნადირს, მოამზადებდნენ საჭმელს და ყველანი დასდებოდნენ სადილად.

— საუცხოოვო სოკო მოგიტანია დღეს ჩემთვის, მეგობარო! — ამბობდა ხოჯო.

— საგანგებოდ მოვიქმენე, ვიცი, რომ გიყვარს, — ეტყოდა კაცი ხოჯოს და გველს მიუბრუნდებოდა: — მიირთვი, მეგობარო, აბა, შეხედე, რა კარგი ხორცია!

— ოო, საუცხოოვო, — ამბობდა გველი, — მე მიყვარს ირმის გემრიელი ხორცი. მადლობელი ვარ, მეგობარო, რომ ზრუნავ.

მერცხალი უფალობდა მათ, და ყველანი მზიარულად შეექცეოდნენ სადილს.

ნასადილეც ერთად მიდიოდნენ ანკარა წყაროზე. ნელნელა სვამდნენ ციკსა და ბროლივით გაშპირვალე წყალს. კაცი დაიხრებოდა, პეშვით ამოიღებდა, მიიტანდა პირთან და დალევდა. მერცხალი ჩაჰკრავდა ნისკარტს წყალში, მოიტაცებდა წვეთს, მზეს შეხედავდა და გადაულაპავდა. გველი და ხოჯო კი დაადებდნენ პირს წყალს და სრულავდნენ შესუვენებლივ.

ერთ დღეს კაცმა ჩაიკვა ირმის ტყავის პერანგი, წელზე ირმის ტყავის სარტყელი შემოიქირა, თავზე ირმის ტყავის ქოლი დაიხურა, მშვილდისარი გადაიკიდა და გასწია ტყეში სანადიროდ.

სამი მეგობარი — მერცხალი, გველი და ხოჯო — სახლში დარჩა. მერცხალი ჭიკჭიკით მზიარულად დასრიალობდა პერანგში და კაცისაგან ვაკეთებულ ფარდულის ცხვენზე ბუდეს აკეთებდა თავისი შვილებისათვის.

ხოჯოც მზიარულად დაფუსფუსებდა, ფიჩხს აგროვებდა ცეცხლის დასანთებად.

გველს კი აეწია თავი და მოწყენილი ასავსავებდა თავის ორპოტივ გრძელ ენას.

— რა ამბავია, გველი, რატომ ხარ ასე მოწყენილი? — ჰკითხა მას ხოჯომ. — გველი მოწყენილია? რატომ? ვინ აწყენინა? — იკითხა მერცხალმა და მათთან გაჩნდა.

— ჰო, მოწყენილი ვარ. — წარმოთქვა გველი.

— რატომ, მეგობარო? — ჰკითხა ხოჯომ.

— რატომ, მეგობარო, განა არ გიხარია, რომ ჩქარა ჩვენი ძმა და მეგობარი, კეთილი კაცი მოვა და საჭმელს მოგვიტანს? — სთქვა ვაკე ვირეებულმა მერცხალმა.

— ჰო, რასაკვირველია, მიხარია, მაგრამ დღეს ირემს, ჯიხვს ან კიდევ დათვის შოიტასს.

— მერე და მოგწყინდა ჯიხვის ხორცის ქამა.

— ჰო, ხოჯოვ, ჰო, მომწყინდა!

— მოგწყინდა ჯიხვის ხორცი? — წარმოთქვა გაჯავრებით მერცხალმა. — რა უნდა იყოს ჯიხვის ხორცზე უფრო გემრიელი! რასაკვირველია, ქიალუსს თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ქიალუსს ხომ თქვენ არ ქამთ, გველო და ხოჯოვ.

— ხა-ხა-ხა! გადაიხარხარა ხოჯომ, ქიალუა რა სათქმელია და ან რა საჭმელია, მაგრამ მე კი ვიცი რა არის ნადირის ხორცზე ბევრად უფრო გემრიელი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა კაცი, ზურგზე ვეება მოკლული დათვი. ჰქონდა მოკიდებული და მეგობრები გაიქცნენ მის შესახვედრად.

კაცმა ცეცხლისპირას დააგლო დათვი და შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ძალიან დაქანცული იყო და დაჯდა. მეგობრები დატრიალდნენ, ვაკეთეს სადილი და მიირთვეს. ნასადილეც, როდესაც წყლის დასალევად წავიდნენ. დალიეს და შინისკენ წაშოვიდნენ, მერცხალი და ხოჯო უკან ჩამორჩნენ ამხანაგებს და მერცხალმა ჰკითხა ხოჯოს.

— ძმაო ხოჯოვ, მითხარი, რა არის ნადირის ხორცზე უფრო გემრიელი საჭმელი?

— რა არის და კაცის ხორცი!

მერცხალი შეშფოთდა.

— მერე, შენ გინდა გველს უთხრა ეს?

— ვეძაწვი.

— არ უთხრა.

— რატომ?

— არ შექამოს ჩვენი მეგობარი, ხომ იცი, გველს როგორ უყვარს ხორცის ქამა, ხომ იცი რამდენს ქამს, რა ხარბია...

— თუ შექამს და შექამოს, — გადაიხარხარა ხოჯომ.

— როგორ, შენ ჩვენი ძმა და მეგობარი კაცი არ გიყვარს?

—მე გველიც მიყვარს და მინდა ვამზი-  
რულდეს.

—არა, მე გთხოვ! — შეეხვეწა შერცხალი.

ხოკომ ხელახლა გადინახარა:

—ჰო კარგი, — თქვა—მან ბოლოს.

—კაცა დაიძინა.

გველი და ხოკო მიუსხდნენ ცეცხლს. იმათ  
სითბო ძალიან უყვარდათ, და მუსაფობდნენ.  
შერცხალიც შორიანლოდან უფდებდა მათ ყურს.

—ჰო, — უთხრა გველმა ხოკოს, — შენ ხომ გინ-  
დოდა გეთქვა ჩემთვის, რა არის ნადირის ხორ-  
ცზე უფრო გემრიელი საჭმელი?

—დაიცათ, მე თქვენ გიგალობებთ, — დაიქვი-  
ქვია შერცხალმა და წამსვე იმასთან გაჩნდა.

—გვტყვი კიდევაც, — მიუფო გველს ხოკომ.

—არ თქვა, ხოკო, — შესძახა შერცხალმა.

—ხა-ხა-ხა, ხარხარებდა ხოკო.

—არ თქვა, ხოკო, არ თქვა! — ყვიროდა გა-  
ხარებული შერცხალი.

—ნადირის ხორცზე უფრო გემრიელი არის  
კა... ვალო პირი ხოკომ სათქმელად, მაგრამ  
სწორედ ამ დროს ეცა მას ღია პირში შერც-

ხალი, ჩაპრა ნისკარტი და ამოვლიჯა. ხო-  
კომ ველარ მოასწრო სიტყვის დათაფნა.

—რა არის უფრო გემრიელი, რა? — ჰკითხა  
გალიზიანებულმა გველმა მოუთმინელად.

—რა და ბაყაყი, — მიუფო ხოკოს მაგიერ შერ-  
ცხალმა და სწრაფად აფრინდა.

გველი გაბრაზდა და მივარდა შერცხალს,  
უნდოდა თავისი მაგარი კბილებით თავი წაე-  
წყვიტა, მაგრამ კბილები მხოლოდ შერცხლის  
გაშლილ, ბოლოს ჩასჭიდა და შუა ნაწილი გა-  
მოვლიჯა.

—დამაცა, მე შენ გაჩვენებ! — მიამახამნ შერ-  
ცხალს და მიუბრუნდა ხოკოს:

—თქვი, რა არის უფრო გემრიელი?

მაგრამ უფრო ხოკო მხოლოდ რტებს ისაგ-  
სავებდა. კაცს გამოვლევიდა, გველის პირში შერ-  
ცხლის ბუმბული დაინახა. ეგონა, გველმა შერ-  
ცხალი შეჭამა, გაბრაზდა, წამოავლო ხელი  
ქვეს, ესროლა გველს, მაგრამ გველი გამჭრა  
ბალახებში და მიიმალა.

აი მას შემდეგ ემალება გველი კაცს. ხმას  
ველარ იღებს ხოკო და შერცხალსაც მაკრატე-  
ლივით აქვს ბოლო ვაკოფული.



## ელისოს მხედრობა

შალვა თაბუკაშვილი

პატარა ელისოს დედას გაგივებით უყ-  
ვარს მუსიკა. მიუჯდება როიალს და უკ-  
რავს, უკრავს, ხან მღერის კიდევ. პატა-  
რა ელისოც არ სცილდება დედას, იმა-  
საც უყვარს მუსიკა და სულ იმას ვეტიტი-  
ნება: — დედავ, კიდევ, კიდევ დაუკარო!

უკრავს დედა, ელისო კი ყურს უგ-  
დებს, ხან ლექსაც ამბობს...

ცელქია ელისო, დარბის, თამაშობს.  
ხან დედოფალა ჰყავს ავად და წამალს  
ასმევს, ხან პატარა ძმას ჰკიდებს ხელს  
და დაჰყავს. ხშირად ეცემა თამაზი; ხან  
უკან გადასძლევის თავი, ხან წინ. რა ქნას,  
სულ ცოტახნის წინათ აიდგა ფეხი და  
ჯერ კიდევ ვერ ისწავლა თავისუფლად  
სიარული.

წაიქცევა თამაზი და მორთავს ღრი-  
ალს, ბუნჩულა ხელებით იწმენდს ლო-  
ყახე ჩამოგორებულ კრემლებს.

— ბიკო, რა გამიწყალე გული, ვამ! არ  
გრცხვენია? რატომ წაიქციე, პა, რატომ? —  
გაიძახის ელისო და მტირალ ძმას აყენებს.

ბევრი საქმე აქვს ელისოს, სულ ფუს-  
ფუსებს, „შვილს“ უელის: ხან თავს გვერ-  
დზე მოუქცევს, ხან ფეხს ცხვირთან მიუ-  
ტანს, მისი „შვილი“ ითმენს ყველაფერს  
და ერთხელაც არ ატირდება.

როგორც კი მუსიკის ხმას გაიგონებს,  
ელისო ყველაფერს თავს ანებებს, იმ წამ-  
სვე დედასთან გაჩნდება და როიალთან  
აიტუზება. უყვართ პატარა ელისო, ეა-  
ლერსებიან.

— ელისოჯან, აბა ერთი ლექსი თქვი შენებურად! — ეტყვიან ხოლმე და სკამზე შესვამენ.

— ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ ამ ეზოში დიღ-დიღასა! არ გაგატან, ვერ წამართმევ ჩემ პატარა წიწილასა!  
ამბობს ელისო და თან ხელით ემუქება უხილავ ქორს.

— აბა ახლა ის სთქვი, საბავშვო ბაღში რომ ისწავლე.

— რომელი?

— ამოუსვათ, ამოვტვლიაოთ.

— ჰოო!

დგას ელისო სკამზე და რაღაცას ფიქრობს.

— სთქვი, გოგო, რაღას უცდი?

— მოიცადეთ, ახლავე მოვალ, თქვა ელისომ, გადმოხტა და სამზარეულოსაკენ გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარი და... შემოვიდა საშინელი ბავშვი: მთელი სახე ლობიოთი ჰქონდა მოთხუნული.

დედამ შეჰკივლა, ელისო კი სკამზე ამობლდა, გასწორდა და დაიწყო:

— ამოუსვათ, ამოვტვლიაოთ, რას გაგვიგებს ბებიო, მთლად ერთიან მოვითხუნოთ ლოყები და ყბებიო.

— რა გიქნია, გოგო, ეს რაა? შენც ამოუსვი და ამოვტვლიე? — სიცილით ეკითხებოდნენ გოგონას.

ცელქია ელისო, დახტის, ვერ ისვენებს.

გამოსასვლელი დღე იყო. დედამ: <sup>\*\*\*</sup> რაში წაიყვანა ელისო.

„ქეთო და კოტემ“ ბევრი აცინა ბავშვები. ელისომ სულ დაიწითლა ხელები ტაშის დაკვრით.

დღეს პირველად არის ელისო ოპერაში, ყველაფერი აკვირვებს, ყველაფერი აინტერესებს.

— დედა, ის კაცი, რომ ჯოხს იქნევს, რად უნდა ჯოხი? ვის უწყობა?

— ხედავ, შვილო, — მოუთითა დედამ ორკესტრზე, — ისინი მუსიკას უკრავენ, ჯოხიანი კაცი კი იმათი უფროსია, ასწავლის, თუ როგორ უნდა დაუკრან.

ელისომ გადაიკისკისა.

— მე მეგონა, ჯოხით ვიღაცა უნდა გალახოს მეთქი. დედა, დედა, ჯოხს რომ აქნევდა, თავსაც აქნევდა და თმები სულ უხტოდა. ისეთი სასაცილო იყო, ისეთი... და ელისომ კვლავ გადიხარხარა.

— დედა, რა ჰქვია იმ კაცს?

— იმ კაცს დირიჟორი ჰქვია...

ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა ელისო ოპერიდან.

<sup>\*\*\*</sup>  
გავიდა რამდენიმე დღე. დედას ელისო ნაცნობებთან მიჰყავდა. რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის მახლობლად, ელისომ მომავალი კაცი დაინახა და ხმამაღლა დაიძახა:

— დედა, შეხედე, შეხედე, დიდი ჯორი მოდის!



ამ სიტყვებს ყური მოჰკრეს გამელელებმა და სიცილი აუტყდათ, ელისოს დედა კი გაწითლდა.

— ვინ არის, გოგონა, დიდი ჯორი? — შეეკითხნენ მას.

ამასობაში ის კაციც მოახლოვდა. ელისო მივარდა იმასთან და უთხრა:

— ძია, შენ ხომ დიდი ჯორი ხარ? „ქეთო და კოტე“ რომ ენახე, შენ არ აქნევი ჯოხს?

უცნობმა გაიღიმა, მიხვდა, რის თქმაც უნდოდა ბავშვს.

— მართალია, ჩემო კარგო, მაგრამ მე დიდი ჯორი კი არა ვარ, დირიჟორი ვარ, — უთხრა და თვითონაც ვერ შეიკავა სიცილი.

ელისოს დედა ბოდის იხდიდა და სირცხვილით არ იცოდა რა ექნა.



# რწყირი ჩა ქიანქველი

## სიმონ წაველი

ერთხელ სისხამ დილით, მარტოდ მარტო, ევლად; მიდიოდა გზაზე სადღაც ქიანქველა.

გზა წინ ედგა ვრცელი, გულში ჰქონდა ჯავრი, რომ არ ახლდა ეულს მოამე, თანამგზავრი.

ვაგაკიც რომ იყო გმირი თავმოწონე, თუ მარტო ხარ მაინც მუხლს აკლია ღონე.

და ქიანქველაც მიტომ იყო მოწყენილი, მაგრამ უცებ გზაზე დაეწია რწყილი.

— გამარჯობა ქიანქველს!  
— ვაგიმარჯოს რწყილო სად მიდიხარ, მითხარ, ჩვენი ველის შეილო!

— ალთას მივალ! ხტომით მუხლი მომეკეტა.

შენ სად მიხვალ ძმაო?

— ალთას მივალ მეცა.

სახიფათო გზა გვაქვს!..

— მანძილიც გვაქვს შორი!

დაეშობილდეთ, ხიფათს უფრო დაედღვეთ ორი.

დაეთანხმა რწყილი

ქიანქველას აზრსა.

მიდიან და ერთად

აგრძელებენ გზასა.

წინა ღამით თურმე მთაზე წამოწვიმა და ჩვენს მგზავრებს გზაზე რუ დაუხვდათ წინა.

შეაჩერა ბიჯი უცებ გზაზე რწყილმა და ქიანქველსა, ძმობილს, უთხრა მოწყენილმა:

— ხიფათის წინ სწორედ ახლა ედგავართ ჩვენი და ორივეს გემართებს სიბრძნის გამოჩენა.

დაგვიდგია ძმობის პირობა და ფიცი, მე აღვიღალ რუზე გადავტეხი ვიცი.

მაგრამ წყალში გასვლა შენთვის არის ძნელი, მოკვიფიქროთ ხერხი ხიფათისგან მხსნელი.



ფიცი გულის იყო  
ჩენი კინკველა,  
დაჯერების ნაცვლად  
გაწიწმატდა ხელად.

მიიჩნია მოძმის  
რჩევა სათაკლოდ  
და პასუხად უთხრა:  
— ვგრა მითხარ, რწყილო!

მუხლებში მაქვს, იცი  
შვილი კაცის ღონე,  
ბედღურის ტვირთი  
მიმაქვს თავმოწონეთ.

არ მასბია თუმცა  
მე შენსავეთ ფრთები,  
თუ ვისურვე მინც  
მთას გადავევლები.



მე თვით სხვას ვგმობ ჯაბანს,  
მხდალს და დამკირებულს,  
გულადობით ყველგან  
მიძახიან ქებულს.



პირველად ხომ არ მხედავ,  
პირველად ხომ არ მხედები,  
მეც გავბტები რუხე,  
შენ თუ გადახტები.

დაუჯერა რწყილმა  
და წამს უდარდვლად  
ისკუბა და რუსა  
გადაახტა ხელად.

კინკველაც ახტა  
ხელად იმე წაშში,  
და ჩავარდა მწერი  
უცებ შუა წყალში.

მოაქანებს ტალღა  
საწყალ კინკველას,  
იღუპება, ხედავს,  
იღარ ელის შევლას.

დაეკარგა შიშით  
ხმა და თვალთა ხედვა,  
მაგრამ უცებ წყალში  
ბალახს წამოედვა.

(შემდეგი იქნება).

## უღბნობები

### 6. გოგუაქმ.

გეკოდინებათ, რომ ცხელ ქვეყნებში  
არის უღაბნობები. ჩვენ კავშირშიაც არის  
მაგ.: ყარა-ყუმის უღაბნო (შუა აზიაში).  
ზაფხულის პერიოდში აქ აუტანელი სი-  
ცხეა, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე  
არ მოიპოვება წყალი, არ არის საკვები  
ცხოველებისათვის, მხოლოდ და მხო-  
ლოდ თვალუწვდენელ ქვიშითაა დაფა-  
რული უზარმაზარი უღაბნოს სივრცე.  
აქა-იქ მოჩანს ძვლები დაღუპული ცხო-

ველებისა და ზანტად მიმავალი ქარა-  
ვნები.

დაიმორჩილა თუ არა სიცოცხლემ უღა-  
ბნოც? აქლემს დიდხანს შეუძლია გაძლოს  
უქმელად, იმიტომ რომ მის კუბში საკ-  
მელის მარაგია. მას შეუძლია გაძლოს  
უწყლოდაც, რადგან მის კუბში არის  
ისეთი განყოფილება, რომელშიდაც დი-  
დი ხნით ინახება წყალი. პირის ღრუ აქ-  
ლემს უხეში აქვს, ნაკლებად მგრძობიარე.

ჩაეჭიდა ღეროს  
თვის ძაღლონით  
აუკოდა ზევით  
და მოითქვა სული.

გახილა თვალი;  
მორვეშია, — ხედავს,  
ნაპირები შორს აქვს,  
გახტომას ვერ ბედავს.

ფიქრობს — „აჰ თუ დავრჩი  
დიდხანს მე საწყალი,  
წვიმა მოვა მთებზე,  
მოიმატებს წყალი.“

გადავლის ბზლახს  
და წამიღებს ქვევით,  
დამიტირებს კინკველს  
ცოლი ცრემლის ფრქვევით.

გამიხდება ტალღა  
სამარედ და მშობლად,  
დაეჭერივებ ცოლსა და  
შვილებს დაეყრილად!“

დაინახა ვალშით  
კინკველამ რწყილი  
თვის მვეგობრის ხედრით  
სახე დაღერემილი;

შეევედრა წყლიდან  
მოძმეს კინკველა:  
— „ნუ დამლუპავ, ძმაო,  
ახლა მინდა შევლა!..“



ეს აძლევს უხეში ბალახის გადღეკვის საშუალებას. აქლემი უდაბნოს ცხოველია. ტყვილად კი არ უწოდეს მას „უდაბნოს ხომალდი“. ხომ იცით, რომ ძალიან ხშირად ჩვენს მინდვრებში მცენარეები გვალვისაგან იღუპება. მაშ როგორ შეუძლია მცენარეს იარსებოს ცხელ და გამომშრალ უდაბნოში?



ამერიკის უდაბნოში ხარობს კაკტუსი. კაკტუსს ფოთლები არა აქვს, სამაგიეროდ აქვს მწვანე, წვნიანი ღეროები, რომელიც შეიცავს ბევრ წყალს. წყალს კაკტუსი ნიადაგიდან ისრუტავს იმ დროს, როდესაც სინოტივეა. კაკტუსში იმდენი წყალია, რომ საჭიროების დროს შეიძლება წყურვილის მოკვლა. დახე როგორ ხარბად დაეწაფა უდაბნოში მოგზაური კაკტუსის წყალს!

როგორც ჩანს, ამ მცენარისათვის გვალ-

ვა საშიში არ არის. კაკტუსს აქვს ერთ-ერთი სამაგალითო თვისება. შეიძლება მისი უნიადგოდ შენახვა სახლში. ამ ხნის განმავლობაში კაკტუსი ისევ ცოცხალია. ხელახლა რომ ჩარგონ მიწაში, ის გაიხარებს. უდაბნოში წყალი ძვირფასია და კაკტუსი დაიღუპებოდა ნადირებისაგან.



რომ არ ჰქონდეს თავდაცვითი იარაღი ის გარშემორტყმულია მაგარი, ძალიან წვეტიანი ეკლებით.

შუა აზიაში ხაოობს ე. წ. აქლემის ბალახი. ის დიდხანს ინარჩუნებს სინოტივეს და სიმწვანეს. ძალიან დიდ სიცხეში ტემპერატურა ჩრდილში 40 გრადუსს აღწევს. სიციხისაგან დაბნედილი ცხოველები ძვრებიან სოროებში და ზაფხულის ძილს მიეცევიან. ტოროლებიც კი სიციხისაგან მიბნედილნი უძრავად წვანან.

მაგრამ დახეთ, აქლემის ბალახს სრულიად არ ეშინია სიციხის. დახეთ რა მედგრადა! მაშ რაშია საქმე? ამ ბალახს ფესვები ძალიან ღრმად აქვს გადგმული ნიადაგში, სადაც ეს ბალახი ხარობს, იქ თამამად შეიძლება ჰის თხრა. ამ ბალახზე შეიძლება თქვას ის, რასაც არაბები ამბობენ ფინიკის პალმაზე: „მას ფესვები წყალში აქვს და თავი კი ცეცხლში.“



# სამასი ზრიაღოსანი უძოზი

სანდრო ჟღანტი.

კოჯრის გადმოღმა, მარჯვნივ, დაბურულ ტყეში თეთრად მოჩანს რაღაც. ხან დაიმალება, ხან გამოჩნდება, თითქოს კუკუმალულობას გეთამაშება შორიდან.

ამ დაბურული ტყის გულში მთელი „ქალაქი“ ყოფილა.

ვინ იფიქრებდა, თუ აქ ცბიერ მელისის და მსუნაგი მგლის მეტი გაივლიდა რაზე! მაგრამ ასე არ არის.

აქ არის ავარაკი ნორჩი თაობისათვის. აქ არის ტფილისის კომიტეტის ინტერნაციონალური პირველი პიონერ ბანაკი.

აქ ისვენებს 300 ფრიაღოსანი, მხიარულად და საქმიანად ფეხს 300 ნორჩი გული.



\*\*

საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი თაობის ბედნიერება სწორედ ამაშია, რომ მათზე ზრუნავს ყველა.

თქვენ ხედავთ, რომ პატარებს უკვე ვალდებულებად მიაჩნიათ ამ ზრუნვის განაღდება.

განაღდების საწინდარია მათი ფრიაღოსობა, დისციპლინა და ყოველგვარ მოქმედებაში წესრიგიანობის გამოვლიება.

გინარიათ და აღფრთოვანებული ხართ, როდესაც პატარა ბიჭი, ან პატარა გოგონა პატაკით ღებულობს ყოველგვარ დავალებას და დავალების ანგარიშსაც პატაკით აბარებს ხელმძღვანელს.

აქ მელანდება თავისუფალი დისციპლინა და საქმისადმი პასუხისმგებლობა და უაღრესად წესიერი ადამიანის მომავალი გზა.

ამ დაბურული ტყის შუაგულში უცქერით გაკრიაღებულ სახლებს.

დასამინებელი კორპუსი სუფთა და ქათქათა ლოგინებით, წესრიგზე მოწყობილი სასადილო, დასასვენებელი, გასართობი და სხვა მრავალი კორპუსი სამასი ხმით

და სამასი მფეთქავი გულით მუდამ ცოცხლად და მხიარულად გამოიყურება,

თითოეულ რაზმს თავისი საკუთარი კედლის გაზეთი აქვს. მათ ჰყავთ პატარა კედლკორები, პიონერები და მხატვრები ზმირად ხედვებით გაზეთში თამარ თეთრამის და დავით აფხაზაშვილის შინაარსიან ლექსებს. გაზეთი პატარა მხატვრის გრიგორიანის მიერ კოხტად არის დასურათებული.

აქვე არიან ჯაზორკესტრის პატარა შემსრულებლები, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი.

პიონერბანაკს ჰყავს ჰიდრაკის ჩემპიონები — ლიოვა ვერშკოვი, რომელიც მეორე კატეგორიისა საკავშირო მასშტაბით და თერთმეტი წლის ბიჭუნა თეიმურაზ მელიქიძე „მარშალი“ (ბანაკში ასე ეძახიან მას), საკავშირო მასშტაბით მესამე კატეგორიისა.



ბანაკში უმრავლესობა პიონერებია, ოქტომბრელები ცოტაა; ოქტომბრელები ცალკე კორპუსში არიან, როგორც ასაკით პატარანი; ისინი მზიარულად დახტან, ცეკვავენ, მღერიან და ლექსებს ამბობენ მათ უყვართ ხელმძღვანელი, თითქოს მშობლიური სიყვარული დროებით მათზე გადაიტანეს. ეხვევიან, ეკითხებიან რაღაცას.

— ხშირად ეწყობა ექსკურსიები, — გადმოგვცემს რაზმის ხელმძღვანელი რობერტ ტურაბოვი, — ოქტომბრელები შორ მანძილზე არ მიგვყავს. საინტერესო იყო ექსკურსია ქოროლიის ციხეზე.

და მართლაც დარწმუნდებით ამაში, როდესაც გადაათვალიერებთ დღიურების რვეულს, სადაც მათი განცდა და ის უამრავი შთაბეჭდილება, რომელიც პატარას გონებასა და თვალებს მიუღია, ნათლად და შინაარსიანად არის გადმოცემული. კარგადაა დაწერილი დღიური: „ექსკურსია უძოზე“.

უძოს<sup>1</sup> პირველ პიონერბანაკს<sup>2</sup> ატყუებ ბანაკის უფროსის ახალადის ხელი, იგი მამასავით უყვართ ბავშვებს; ჩანს უფროსის მოადგილის კოლია სეფაშვილის გამოცდილება, პედაგოგიური აღლო და საქმისადმი სიყვარული.

\* \*

ასე ისვენებს 300 ფრიაღოსანი უძოს სუფთა ჰაერზე.

ასე უვლიან საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში მრავალ მოზარდ სამასეულს.

იქედება და ფოლადდება სიჯანსაღე ნორჩი თაობისა.

მსუყდება და მკვრივდება ენერგია, სკოლაში პირველი ზარის წკრიალის შესახვედრად, რომ ისევ მოზღვავებული სურვილით შეითვისონ მასწავლებლის ყოველი სიტყვა, ისევ ფრიადი მოსდევდეს ფრიალს.

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი რ ა მ ხ ე შ ი ა ?

(გამოცანა)

მტაცებელი ცხოველია  
კულდგრძელა და ტანმოორჩილი  
წუწკი, ფლიდი, გაიძვერა,  
ოინებში გამოქნილი.  
დღისით ტყეში სოროში წევს,  
ღამით სოფელს ესტუმრება  
და ქურღივით ფრთხილად, ჩუმად  
ის საქათმეს მიადგება;

ძირს გაუთხრის და იქიდან  
ბატ-იხე-ქათამს მიაპარებს,  
მაგრამ ხშირად ეს მსუნავი  
ამისათვის პასუხს აგებს.  
მისი ხორცი არ იქმება,  
ძვირფასი აქვს მხოლოდ ტყავი, —  
ზოგი მუქი წაბლისფერი,  
ზოგი — თეთრი, ზოგი — შავი.

ალ. საჩინოელი

130 თ ი თ ი

<sup>1</sup> ერთ ბავშვს გამოცდაზე დააწერიან, რამდენი თითი ჰქონდა სულ ხელეგზე და ფეხებზე.

გამოდის 130, რაში მდგომარეობს შეცდომა.

ბავშვმა დაწერა: მე მაქვს ოცი თითი მარჯვენა ხელზე, ხუთი ამდენივე მარცხენაზე და ათი ორივე ფეხზე.

გაადიდეთ რიტები წნ ერთნახევარჯერ, მაგრამ არ მიმართოთ არც ერთ ართმეტრიკულ მოქმედებას.